

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №57**

**20 ნოემბერი 2023 წ.
15:00 სთ**

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე, ანა გოგოლაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი - სოფო დოდონაძე

ქალაქ თბილისის განვითარების ფონდის წარმომადგენელი- უმანგი ენუქიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

საკრ. №12-032331753-03 13/11/2023წ

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკრ. №12-032333211-03 17/11/2023წ

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.საკრ.№15-032332129-03 17/11/23(11-0123321701)

4. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო / რაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N368 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. საკრ. №12-032330750-03 03/11/2023წ

5. „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N492 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.საკრ. №12-0323310101-03 06/11/2023წ

6. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.საკრ. №12-032330750-03 03/11/2023წ

7. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკრ. №12-032332170-03 15/11/2023წ

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(არქის ბინები). საკრ. №12-032330741-03 03/11/2023წ

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“საკრ. №12-032330739-03 03/11/2023წ

10. „ქალაქ თბილისში, რ. ლალიძის ქ. N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. N46-ში (ს/კ: 01.15.04.015.001 და 01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. საკრ. №12-032330740-03 03/11/2023წ

11. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუზრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032330738-03 03/11/2023წ

12. ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.062.027) 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლია ლორთქიფანიძისთვის (პ/ნ: 01006016607) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032330743-03 03/11/2023წ

13. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ლაბაძისთვის (პ/ნ: 01008024363) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032330744-03 03/11/2023წ

14. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N128-142-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ონურისთვის“ (ს/ნ: 404475616) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032330742-03 03/11/2023წ

15. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტელეგრაფისთვის“ (ს/ნ: 404505406) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032330745-03 03/11/2023წ

16. ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.17.036.047) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016“-ისთვის (ს/ნ: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032330746-03 03/11/2023წ

17. ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინაძე და პარტნიორებისთვის“ (ს/ნ: 205294545) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-032330748-03 03/11/2023წ

18. ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 177 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.10.14.014.052) 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სმარტ გრუპ +“-ისთვის (ს/ნ: 405602441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-03233203-03 16/11/2023წ

19. „ქ. თბილისში, თაყაიშვილის ქ. N4-შის მიმდებარედ არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.011.016) პირდაპირი განკარგვის წესით აკაკი კუჭაშვილისთვის (პ/ნ: 01019017918) და იზოლდა ქუთელიასთვის (პ/ნ: 01008003735) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“. საკრ. №12-032332128-03 17/11/2023წ

20. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N147-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.01.030.001) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დი რომასთვის“ (ს/ნ: 406216027) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-0323310100-03-03 06/11/2023წ

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის

(ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-0323332126-03 17/11/2023წ

22. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ელესთის“ (ს/ნ: 422432665) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. საკრ. №12-03233244-03 20/11/2023წ

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 1,700,912,4 ათასი ლარით, რაც 2023 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 1,632,132,6 ათას ლარს, გაზრდილია 68,779,8 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 1,645,812,4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

გადასახადები 918,661,8 ათასი ლარი

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 643,661,8 ათას ლარს.

საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 225 000,0 ათასი ლარი (2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 17,000.0 ათასი ლარით);

ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 30,000,0 ათასი ლარი.(2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 4,000.0 ათასი ლარით);

მიწაზე ქონების გადასახადი 20 000,0 ათასი ლარი.

გრანტები 446,590,0 ათასი ლარი

სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები 446,590,0 ათასი ლარი.

მ.შ:მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 590,0 ათასი ლარი. (გადამდებ დაავადებატა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის).

სპეციალური ტრანსფერი 440,000,0 ათასი ლარი.

სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 6,000,0 ათასი ლარი

სხვა შემოსავლები 280,560,6 ათასი ლარი, მათ შორის:

შემოსავალი საკუთრებიდან – 9,000,0 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 75 000,0 ათასი ლარი;

სანქციები (ჯარიმები და საურავები) 100, 000,0 ათასი ლარი;

სხვადასხვა შემოსავლები – 26 560,0 ათასი ლარი.

ჯამში სხვა შემოსავლები 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 50,715,2 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის **ხარჯები** - განსაზღვრულია 1,421,932,3 ათას ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 128,079,5 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 182,695,1 ათასი ლარი, პროცენტი 46,942,1 ათასი ლარი, სუბსიდიები 637,757,3 ათასი ლარი, გრანტები 1,466,7 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 146,151,2 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 278,839,5 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

არაფინანსური აქტივების ცვლილება

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 173,253,3 ათას ლარს, მათ შორის:

არაფინანსური აქტივების ზრდა – 228,253,3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება – 55 000,0 ათასი ლარი.(მათ შორის საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 5 000,0 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 4 000,0 ათასი ლარი, შემოსულობა არამწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 46 000,0 ათასი ლარი)

ფინანსური აქტივების ცვლილება

ფინანსური აქტივების ცვლილება (100,0 ათასი ლარი)

ფინანსური აქტივების კლება – 100,0 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება

2024 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (50726,9) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებაა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1,700,912,4 ათას ლარს და გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 542,391,3 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (522,096,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 20,294,7 ათასი ლარით. **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება** - 223 111,1 ათასი ლარით. **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება** - 213,611,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში (211,901,7 ათასი ლარი) გაზრდილია 1,709,4 ათასი ლარით. **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** - 1 879,5 ათასი ლარით. **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** - 38 296,3 ათასი ლარი. **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** - 154 685,2 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 32.786.0 ათასი ლარი. სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 121,902,2 ათასი ლარი. **განათლება** დაიგეგმა - 246,047,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 20,129,3 ათასი ლარით. **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** - 35.534.7 ათასი ლარით. **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** - 6 297.0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამები: თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 817,1 ათასი ლარით და ცხოველთა მონიტორინგი - 5 479,9 ათასი ლარით; **ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები** - 238.059.3 ათასი ლარით.

ბიუჯეტის პროექტის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

აზრი გამოთქვა ანა გოგოლაძემ. მისი აზრით 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში არაფერია მნიშვნელოვანი, გარდა ხელფასების ზრდის. მან ასევე იკითხა: პროგრამის, „ უფასო სასადილოებით მომსახურება“ მოსარგებლე ბენეფიციარებზე კვების თანხის არ გაზრდილა და კვლავ ერთი ბენეფიციარის კვებაზე დღეში

გათვალისწინებულია 1,70 თეთრი. რატომ არ ხდება ამ თანხის გაზრდა. გარდა ამისა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია თუ არა მოსალოდნელი ინფლაცია.

ირაკლი ხელძემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 68 779 800 ლარით. მნიშვნელოვანია ასევე, რომ 2024 წელს იგეგმება 18 მეტრიანი 160 ერთეული ავტობუსების შემოყვანა, რისითვისაც 2024 წლის ბიუჯეტიდან გადაირიცხება 113 000 000 ლარი, იწყება საყოფაცხოვრებო პოლიგონის 4 უჯრედის მშენებლობა და ამისათვის დაიხარჯება 15 მლნ ლარი. გრძელდება და გაზრდილია ყველა ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების პროგრამების ასიგნება და არ არის სწორი, რომ ბიუჯეტში მხოლოდ ხელფასების ზრდაა, რაც დაანონსებული იყო. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა ყველა კომისიამ და ფრაქციამ. კომისიაში წარმოდგენილია ყველა მუდმივმოქმედი კომისიის და ფრაქციების: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“, შენიშვნები და წინადადებები 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მიერ გადაგზავნილი იქნება საკრებულოს თავმჯდომარესთან.

მან ისაუბრა იმ ძირითად შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე, რაც წარმოდგენილი იყო კომისიაში და აღნიშნა, რომ ყველა წარმოდგენილი რეკომენდაცია გადაგზავნილი იქნება საკრებულოს თავმჯდომარესთან.

შეკითხვების ამოწურვს შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კეჭისყრაზე დააყენა საკითხი : „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი, კომისიებისა და ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციებით დაუბრუნდეს ქალაქის მერს.

მომხრე- 9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა რეკომენდაცია გასცეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს ქალაქის მერთან, კომისიების და ფრაქციის რეკომენდაციებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ იზრდება გადასახადების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადი - 12 345,2 ათასი ლარით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 სექტემბრის NN 04-03/76698 წერილი) და საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები (სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან) მცირდება – 19 000,0 ათასი ლარით (სესხის პროექტების ფარგლებში გადასახდელი დღგ). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1 826 328,8 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: **იზრდება** გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნებები – 252,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 100,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) - 16,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 240,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნებები - 580,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 1 815,1 ათასი ლარით, ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) - 4 621,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 16,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 40,1 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებების (კოდი 10 095,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 825,7 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) - 500,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 291,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის

18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) - 199,8 ათასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) - 22,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) - 1 103,5 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 100,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 500,0 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნება - 385,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 268,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის საკრებულო (კოდი 10 01) - პროგრამის ასიგნება - 900,0 ათასი ლარით.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 84,7 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) - 16,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 3 000,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 10 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 252,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) - 100,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 240,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) - 1 000,0 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) - 313,1 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 31,4 ათასი ლარით, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) - ქვეპროგრამის ასიგნებები - 40,0 ათასი ლარი, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) - 10,0 ათასი ლარით, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) - 284,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნებები - 115,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) - 75,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 15,9 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 56,1 ათასი ლარით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) - 100,0 ათასი ლარით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08) - 40,0 ათასი ლარით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი 06 02 03) - 16,5 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 304,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) - 48,4 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) - 50,0 ათასი ლარით, სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) - 31,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 02 08) - 1 250,0 ათასი ლარით, მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (კოდი 06 02 13) - 5,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) - 21,5 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 25) - 34,9 ათასი ლარით, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) - 78,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) - 136,0 ათასი ლარით, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 70,0 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნება - 198,0 ათასი ლარით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) - 37,5 ათასი ლარით, თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) - 100,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 185,0 ათასი ლარით, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) - 100,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) - 5 068,7 ათასი ლარით, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) - 4 700,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25) - 2 986,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 50,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - 3 381,1 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: გაიზარდა ქალაქის განვითარების ხელშეწყობის (კოდი 02 10) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის განვითარების მომუშავეთა რიცხოვნობა 18 ერთეულით, ხოლო შემცირდა მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობის (კოდი 08 03 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა 7 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4788 ერთეულით.

მომხრე- 6 თავი შეიკავა- ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

ლევან მიქავას მოხსენებით, პროგრამაში „სპორტული ღონისძიებები“ (პროგ/კოდი: 08 06 01) წლიურში ემატება 245 000 ლარი, თავების გადმოტანა ხდება პროგრამებიდან „მწვრთნელათა მხარდაჭერა“ (პროგ/კოდი : 08 06 02)- 19 000 ლარი, „წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება“ (პროგ/კოდი 08 06 08) -31 000 ლარი, „სპორტი უფროსი თაობისათვის“ (პროგ/კოდი 08 06 07)- 195 000 ლარი. გადანაწილება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პროგრამაში „სპორტული ღონისძიებები“ , სუბსიდიის მუხლში, მეოთხე კვარტალში არ არის საკმარისი თანხა ნოემბრის და დეკემბრის ხელფასებისა და კომუნალური ხარჯებისათვის.

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა, უმრავლესობით გადაწყვიტეს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო / რაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N368 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სოფო დოდონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N23.1156.1249 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N368 განკარგულებების საფუძველზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცისარტყელას“ საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის, კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) არსებული საერთო სარგებლობის ფართები ჯამში - 26 საკადასტრო ერთეული, თუმცა ხელშეკრულების გაფორმების დროს, ბმას თავმჯდომარის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ წარმოდგენილი ბინათმესაკუთრეთა კრების ოქმით, რომლითაც მოთხოვნილი იყო 26 ერთეული უძრავი ქონება, არ იყო სრულყოფილი ჩამონათვალი იმ უძრავი ქონებისა, რომელიც წარმოადგენს საერთო სარგებლობის ფართებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ახალი ბინათმესაკუთრეთა კრების ოქმი, სადაც ამხანაგობამ იმსჯელა ტექნიკური ხარვეზის არსებობის თაობაზე ნოტარიულად დამოწმებულ ბინათმესაკუთრეთა 2023 წლის 17 მაისის საერთო კრების ოქმი N2-ში, რომელიც წარმოდგენილი იყო არასრული საკადასტრო ერთეულების ჩამონათვალთ. სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებისა და აღნიშნულ განცხადებაზე თანდართული ბმას კრების ოქმის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N23.1156.1249 განკარგულების დანართი N1-ში და დანართი N2-ში. ზემოაღნიშნული ცვლილების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცისარტყელას“ სრულად გადაეცეს ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის, კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) არსებული საერთო სარგებლობის ფართები.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N492 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

სოფო დოდონაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით ხდება ტექნიკური ხარვეზის გასწორება „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N492 განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N23.1436.1610 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2, სართული 3-ზე არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მარიამ ზაალიშვილისთვის (პ/ნ: 01017040110) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სოფო დოდონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაცემით იმ პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 5 პირს (5 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: მირიანი გოგებაშვილი (პ/ნ 60001030243) დაკავებული ფართი - 67.29 კვ.მ; ოთარი ფორჩხიძე (პ/ნ 60001127161) დაკავებული ფართი - 67.85 კვ.მ, ირმა ქოზაშვილი (პ/ნ 01028006664) დაკავებული ფართი - 100.76 კვ.მ; ვახტანგ ფარტენაძე (პ/ნ 61006011666) დაკავებული ფართი - 67.85 კვ.მ; იასონ ნეფარიძე (პ/ნ 54001040465) დაკავებული ფართი - 100.76 კვ.მ აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემთ 404.51 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 11-12 წელია ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით ღგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2010 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე- 7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N5-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სოფო დოდონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუსი N5, კორპუსი N6 (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.001 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონებიდან

